ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-01233421577**
თარიღი: **08/12/2023**

ადრესატი: ნინო ბარისაშვილი
პირადი ნომერი: 01023003680
მისამართი: თბილისი იაკობ გოგებაშვილის ქ. N 32-34/3 ბ. 11

შ.პ.ს “თბილსერვის ჯგუფში” შემოსული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში რიცხულ მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი:01.12.12.024.057) საზღვრის სიახლოვეს განთავსებულია გარე განათების მოქმედი საჰაერო ელ.გადამცემი ხაზი (ს/ჯ:01.00.185), აქედან გამომდინარე შ.პ.ს. “თბილსერვის ჯგუფი” წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები, თუ უზრუნველყოფილი იქნება თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება და დაცული იქნება დაცვის ზონები შენობა/ ნაგებობასა და ელ.სადენს შორის (დასაშვები მანძილი შენობა/ ნაგებობების, ხაზობრივ ნაგებობასთან მიმართებაში უნდა იყოს არანაკლებ 2 მეტრისა), ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში გარე განათების ქსელის გადაადგილება შეთანხმებული უნდა იყოს შ.პ.ს."თბილსერვის ჯგუფთან" და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურთან.
შეთანხმებული გენ გეგმა იხ.დანართის სახით.

დანართი: 1 ფურცელი.

ვეფხვია ბაძაღუა

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-დირექტორის მოადგილე
(გარე განათების დარგში)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გენ. გეგმა ელექტრო გადამცემი ხაზის ჩვენებით. გარე განათების თვითმზიდი იზოლირებული სადენი



შეთანხმებულია
შპს "თბილსერვის ჯგუფი"
სამუშაოების დაწყების წინ დაუკავშირდით ჩვენს წარმომადგენელს
ტელ: 545 307625
08 - 12 - 2023 წ.

ფორმატი	საპროექტო ორგანიზაცია		პროექტის სახელწოდება				ნახაზის სახელწოდება
A3	შ.პ.ს. "ვერტექს" ს/კ 405404977		მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი				
	მისამართი		მისამართი	თარიღი	მასშტაბი	ფურცელი	ფურცლები
	საქართველო, ქ. თბილისი, ი. ხვიჩიას №36/40		ქ. თბილისი, ბ. ჭყონდიდელის ქ. №46ა; ს/კ 01.12.12.024.057	19/11/2023	1:200		

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ.3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

სნ 202052580

N: 1211/736/23

11/12/2023

მოქ. ნინო ბარისაშვილს

07.12.2023 #1207/113/23 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი (გენ.გეგმა ს.კ.01.12.12.024.057) დღევანდელი მდგომარეობით შეესაბამება ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესებსა და ზონებს (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366 დადგენილება, დანართი ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები).

სს „თელასის“ გენერალური
დირექტორის მ.შ. ა. ბალჩუგოვი

შემს. შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყ. უფროსი მ. ჩიღუნაძე
ტელ. 2 77 99 99 1(7959)

გენ. გეგმა თელასის ელექტროგადამცემი ხაზის ჩვენებით.
6–10 კვ. საკაბელო ხაზი



ფორმატი	საპროექტო ორგანიზაცია	პროექტის სახელწოდება	
A3	შ.პ.ს. "ჰერტექს" ს/კ 405404977	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	
	მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ი. ხვიჩიას №36/40	მისამართი: ქ. თბილისი, ბ. ჟღენტის ქ. №46ა; ს/კ 01.12.12.024.057	თარიღი: 19/11/2023; მასშტაბი: 1:200

შეთანხმების თარიღი 11.12.23

13.12.2023

N23-1327/ე.ფ

მოქ: ზვიადი ბექა გაგუას
ტელ: 574 047 724
ელ. ფოსტა: ninobarisa@yahoo.com

თქვენი 07.12.2023 წლის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მითითებულ მისამართზე, ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქუჩა №46ა-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.12.12.024.057) მიმდებარედ გადის შპს „ახალი ქსელები''-ს ხაზოვანი ნაგებობა.

შპს „ახალი ქსელები'' არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ სამუშაოები იმ პირობით, რომ აღნიშნული სამუშაოები ჩატარდება ტექნიკური ნორმებისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვით, ასევე არ დაზიანდება და არ მოექცევა რაიმე შენობა-ნაგებობის ქვეშ ჩვენს კუთვნილებაში არსებული კომუნიკაციები.

სამუშაოების მსვლელობის დროს ჩვენი საკუთრების ნებისმიერი დაზიანების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულება დაგეკისრებათ თქვენ.

სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ გამოიძახოთ ჩვენი წარმომადგენელი.
ტელ: 11 00 00

დანართი: 1) სიტუაციური ნახაზი;
2) ტექნიკური პირობა.

პატივისცემით,
დირექტორი / ი. ინჯია /

ტექნიკური პირობა

შპს “ახალი ქსელები” თანახმაა, ქვემოთ მოცემული პირობების დაცვით შესრულდეს განმცხადებელის მიერ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები:

1. დაშორება საპროექტო ხაზოვან ნაგებობასა და შპს “ახალი ქსელები”-ს მიწისქვეშა ხაზოვან ნაგებობას შორის დასახლებულ პუნქტებში, ტრასის გასწვრივ, ნაგებობის განაპირა ხაზიდან, ტრასის ორივე მხარეს უნდა იყოს არანაკლებ 0,5 მეტრის სიგანის ზოლი.

2. დაშორება საპროექტო ხაზოვან ნაგებობასა და შპს “ახალი ქსელები”-ს საჰაერო ხაზებს შორის, მათი ტრასის გასწვრივ, ნაგებობის განაპირა ხაზიდან, ტრასის ორივე მხარეს უნდა იყოს არანაკლებ – 0,5 მეტრის სიგანის ზოლი.

3. შპს “ახალი ქსელები”-ს მხრიდან, იგივე (ან მიმდებარე) ტერიტორიაზე ხაზოვანი ნაგებობის მშენებლობა/რეკონსტრუქციის პროცესში შესაძლო დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, განმცხადებლის მიერ სარპოექტო ხაზოვანი ნაგებობის ზემოთ, არანაკლებ 0.15 მ-ის დაშორებით, ჩაიდოს გამაფრთხილებელი ლენტი.

4. შპს “ახალი ქსელები”-ს ხაზოვანი ნაგებობის გადაკვეთის შემთხვევაში სამუშაოები შესრულდეს ხელით.

5. შპს “ახალი ქსელები”-ს ხაზოვანი ნაგებობის გადაკვეთის შემთხვევაში, განმცხადებლის კომუნიკაციები მოთავსდეს შ.პ.ს “ახალი ქსელები”-ს ხაზოვანი ნაგებობის ქვემოთ, არანაკლებ 0,2 მეტრის დაშორებით.

6. წინამდებარე ნებართვის გაცემით, ნებართვის მიმღები ადასტურებს თავის ვალდებულებას უზრუნველყოს შპს “ახალი ქსელები”-სთვის ანალოგიური ნებართვის გაცემა მის მიერ წინამდებარე ნებართვაში მითითებულ (ან მის მიმდებარედ არსებულ) ტერიტორიაზე ხაზოვანი ნაგებობის მშენებლობის დაწყების და/ან სარეკონსტრუქციო/სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების შემთხვევაში.

7. საპროექტო შენობა ნაგებობის და შ.პ.ს “ახალი ქსელები”-ს ხაზოვანი ნაგებობის დაშორება უნდა იყოს არა ნაკლებ 1 მ სიგრძის.

8. იმ შემთხვევაში, თუ შპს “ახალი ქსელები”-ს მიერ წარმოდგენილი ან რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობის კოორდინატები განსხვავდება რეალობისგან, განმცხადებელი ვალდებულია:
დაუყონებლივ შეაჩეროს სამუშაოები;
აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს შპს “ახალი ქსელები”-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტით, (info@ak.ge) და შეთანხმების ბეჭედზე მითითებული ტელეფონის ნომრის მეშვეობით.

გენ. გეგმა ახალი ქსელების ქსელის ჩვენებით.
ასს-69 სატელეფონო
საკანალიზაციო ქსელები


ასფ. გზა
ასფ. გზა
ასფ. გზა
ახალი ქსელები (ს.კ. 01.00.013)
01.00.013
01.00.287
01.00.834
+0.00=442.35
+15.50=457.85
+17.90=460.25
-1.45=440.90
-1.15
441.20
ბაღის ელემენტები (ბაღის ოთხკუთხედის ბაზის ტიპის ელემენტები)
ბაღის ელემენტების ფუნქციონირების ბაზის ტიპის ელემენტები



პირობითი ნიშნები	მისამართი	შ.პ.ს „ახალი ქსელები" პოლიტკოვსკაიას № 42 ტელ: 11 00 00
საშუალედო ბოძი არსებული საკაბელო ბოძი არსებული საჰაერო ქსელი არსებული სატელეკომუნიკაციო ჭა არსებული სატ. საკ. არხი	ქ. თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა, №46ა	

საპრ. უფროსი		ნ. გელიაშვილი
შეადგინა		ე. ფერიაშვილი

მუშა ნახაზი	დაკვათა	ფურცლები	გვ.
		1	1

საკომუნიკაციო ქსელის სქემა	თარიღი	მასშტაბი
	27.02.23	1:500

საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №46ა-ში, (ს/კ 01.12.12.024.057) 5 სართულიანი სარდაფით საოფისე შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები“.

ფიზიკური პირების ზვიადი ბექა გაგუა და ნინო ბარისაშვილის თხოვნით ჩვენს მიერ 2022 წლის 18 ნოემბერს შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №46ა-ში, (ს/კ 01.12.12.024.057) 5 სართულიანი სარდაფით საოფისე შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №46ა-ში, (ს/კ 01.12.12.024.057) 5 სართულიანი სარდაფით საოფისე შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ი.მ. „მირდატ კვარაცხელია“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2022 წლის მარტში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ-გეოლოგი მ. კვარაცხელია.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 17 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. გრუნტების ფიზ-მექ. თვსიებების ლაბ-ული კვლევის შედეგები---- 2 გვ.
4. გრუნტების კომპრესიაზე გამოცდის გრაფიკები---------- 3 გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა---------- 2 ფურც.
6. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 5 ფურც.
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილი---------- 6 ფურც.
8. ფოტოდოკუმენტაცია---------- 3 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 5 სართულიანი, სარდაფით საოფისე შენობა. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე გაყვანილი იქნა 4 ჭაბურღილი, მათი საერთო სიგრძე შეადგენს 60.0 მეტრს. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები გრუნტის თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ტექნოგენური გრუნტი;
2. ფენა 2 – თიხნარი, მყარი კონსისტენციის.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება. მოედნის ზედა ფენა ტექნოგენური გრუნტია, რომელიც შენობის ფუძედ არ გამოდგება და ამიტომ მათი თვისებები არ გამოკვლეულა. შემდეგი ფენა დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის თიხნარებია. ისინი ბუნებრივ პირობებში მშრალ მდგომარეობაში არიან და ამიტომაც ხასიათდებიან მყარი კონსისტენციით. ანგარიშში მოცემულია თიხნარების ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები, განსაზღვრული ლაბორატორიული მეთოდით. ფორიანობის კოეფიციენტის მიხედვით გრუნტი საშუალო სიმკვრივისაა და e თავსდება 35-45%-ის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ გრუნტი ჯირჯვადია, თუმცა თავისუფალი გაჯირჯვება ნულის ტოლია. გრუნტი არ ხასიათდება ჯდომადი თვისებებით. გრუნტის კომპრესიული თვისებების დასადგენად ჩატარდა ლაბორატორიული ცდები. როგორც ცდებმა აჩვენა, კუმშვადობის კოეფიციენტი მცირე სიდიდისაა. როგორც ავტორი აღნიშნავს ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური გეოდინამიკური პროცესების (მეწყერი, ზვავი, სუფოზია, კარსტი და სხვა) განვითარება არ არის მოსალოდნელი.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №46ა-ში, (ს/კ 01.12.12.024.057) 5 სართულიანი სარდაფით საოფისე შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/

CV – ჭოხონელიძე გუგა

გვარი სახელი, ამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძე №10, ბინა 25 ტელ: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით. 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ გეოლოგიის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის – აკადემიკოსი.
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკის და ფუძე - საძირკვლების მიმართულების ხელმძღვანელი.
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფიულია "საქართველოს ლიოსისებული გრუნტები" (1976წ) და "ამიერკავკასიის ლიოსისებული გრუნტები " (1988წ) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავის სოხუმის და ქ. ფოთის საინჟინრო "გეოლოგიურ პირობები გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობასთან დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. "გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები" 2005 წ. და "საინჟინრო ნაგებობები" (2012წ.) ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01-2003წ. "შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები".
უცხო ენების ცოდნა	ქართული-მშობლიური; რუსული-კარგად; ინგლისური-ლექსიკონის დახმარებით.

დიპლომი

Я № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე
ჭოხონელიძეს
მასზე, რომ იგი 1964 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის
სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1972 წელს დაამთავრა
ალნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია
და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ.
30 ივნისის დადგენილებით
გ.ი. ჭოხონელიძეს მიენიჭა
სამთო ინჟინერ
ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
რექტორი
მდივანი

ბ.ა.

ქალაქი თბილისი 1973 წ. „2" აპრილი
სარეგისტრაციო № ГЕ-205

Грузинский ...

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МВН № 007499

Москва 2 декабря 1975 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 28 ноября 1975 г. (протокол № 18)

Цхакая Гуре Ильину

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей
Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей
Аттестационной Комиссии

საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01026010539

სახელი ზუზა

გვარი ჭოხონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება — — — — —

№ღ 0266413

ჭოხონელიძე

პირადი ხელმოწერა

მისამართი — — — — —

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე განყოფილება

გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.

მოქმედების ვადა — — — —

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა

ინდ. მეწარმე მირდატ კვარაცხელია

ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №46ა-ში (საკად. კოდი №01.12.12.024.057) 5-სართულიანი სარდაფით საოფისე შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

თბილისი
2022 წ.

სარჩევი

		გვ.
	ტექნიკური დავალება	2
I	ზოგადი ნაწილი	3
I.1	შესავალი და კვლევის პროგრამა	3
I.2	ადგილმდებარეობა, საზღვრები და მისასვლელი გზები	4
I.3	კლიმატური მახასიათებლები	5
I.4	ზედაპირული წყლები	7
I.5	გეომორფოლოგირი პირობები და გეოდინამიკური პროცესები	7
I.6	გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები	8
II	სპეციალური ნაწილი	10
II.1	საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და გამოყოფილი გრუნტების სახესხვაობები	10
II.2	გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები	11
III	დასკვნები და რეკომენდაციები	13-16
IV	ფოტოდოკუმენტაცია ტექსტური დანართებით	17-19

ტექსტური დანართები

		გვ.
1	გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ლაბორატორიული კვლევის შედეგები	21-22
2	გრუნტის კომპრესიაზე გამოცდის გრაფიკები	23-25

გრაფიკული დანართები

		გვ.
1	უბნის ტოპოგრაფიული გეგმა ჭაბურღილების და ჭრილების ხაზების განლაგებით 1:533 (ამობეჭდვის) მასშტაბში	27-28
2	ჭაბურღილების სვეტები	29-33
3	პირობითი აღნიშვნები საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილებისთვის საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები: I-I^{I}; II-II^{I}; III-III^{I}; IV-IV^{I}	34-39

ტექნიკური დავალება

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

1. დამკვეთი: ფიზიკური პირები: ზვიადი ბექა გაგუა (პ/ნ 65007000146); ნინო ბარისაშვილი (პ/ნ 01023003680);
2. ობიექტის დასახელება: 5-სართულიანი საოფისე შენობა;
3. მშენებლობის ტიპი: ახალი მშენებლობა;
4. ობიექტის მდებარეობა: ქ. თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №46ა (საკადასტრო კოდი №01.12.12.024.057);
5. შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით: – III (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილება №1-ის შესაბამისად);
6. დაპროექტების სტადია: მუშა პროექტი;
7. ობიექტის ტექნიკური დახასიათება:
   - სართულიანობა და სარდაფი: 5 სართულიანი, სარდაფით;
   - ფორმა და ზომები გეგმაში: მართკუთხა; ≈25.3×11.1 (მ) დაზუსტდება;
   - პირველი სართულის იატაკის საპროექტო ნიშნული: ±0.00≈442.00 (მ); დაზუსტდება;
   - საძირკვლის ფილის ძირის საორიენტაციო ნიშნული: ≈436.00 (მ); დაზუსტდება;
   - მზიდი კონსტრუქციების მასალა: მონოლითური რკინაბეტონი;
   - საძირკვლის სავარაუდო ტიპი: რკინაბეტონის ფილა;
   - საპროექტო დატვირთვა საძირკვლის ძირზე: დაზუსტდება;
8. საველე სამუშაოები: საპროექტო ტერიტორიაზე დამკვეთის მიერ მონიშნულ 4 წერტილში გაყვანილ იქნას ჭაბურღილები. მათი სიღრმეები განისაზღვროს დამკვეთის და ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ის (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის) პუნქტ 3.64-ის მოთხოვნების შესაბამისად.

   კვლევის მიზანი: დადგინდეს უბნის ამგები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების პარამეტრები – არაკლდოვანებისთვის ბუნებრივი ტენიანობა, დენადობის მაჩვენებელი, ფორიანობის კოეფიციენტი, დეფორმაციის მოდული, სიმკვრივე, ხახუნის კუთხე, შეჭიდულობა, საანგარიშო წინაღობა, ძირითადი კლდოვანი გრუნტების შემთხვევაში - წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე როგორც ბუნებრივ ისე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში, გამოფიტვის ხარისხი და სხვა. განსაზღვრულ იქნას ფუძე-გრუნტების კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით და შეფასდეს გეოდინამიკური პროცესების ხარისხი საპროექტო ნაკვეთისთვის.

   საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები შესრულდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად; საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის დოკუმენტაცია (ტექნიკური ანგარიში) წარმოდგენილი იქნეს აკინძული 1 ეგზემპლარად და ასევე ელექტრონულ ვერსიაში.

მთ. არქიტექტორი

მთ. კონსტრუქტორი

ნოემბერი 2022 წ.

ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №46ა-ში (საკად. კოდი №01.12.12.024.057) 5-სართულიანი სარდაფით საოფისე შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

I. ზოგადი ნაწილი

I.1 შესავალი და კვლევის პროგრამა

ფიზიკური პირების: ზვიადი ბექა გაგუას (პ/ნ 65007000146) და ნინო ბარისაშვილის (პ/ნ 01023003680) მომართვის საფუძველზე ინდ. მეწარმე მირდატ კვარაცხელიამ 2022 წლის ნოემბერში, ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩის №46ა-ში (საკად. კოდი №01.12.12.024.057) 5-სართულიანი სარდაფით საოფისე შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩაატარა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების განსაზღვრა და დასაპროექტებელი ნაგებობის დაფუძნების პირობების დადგენა.

ძირითადი სამუშაოების ნუსხა და დასადგენი პარამეტრების ჩამონათვალი მოცემულია დართულ ტექნიკურ დავალებაში.

ზემოაღნიშნული მიზნების გადასაწყვეტად, ჩატარებული იქნა შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით მოხდა სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორიის ფართის და მიმდებარე ტერიტორიების დეტალური დათვალიერება-შესწავლა. ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად დამკვეთის მიერ მონიშნულ წერტილებში გაყვანილ იქნა 4 საპროექტო ჭაბურღილი. ბურღვა მიმდინარეობდა მექანიკური სვეტური მეთოდით, საბურღი დანადგარით „УГБ-1ВС“, 146, 127 და 108 მმ-იანი დიამეტრებით, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

ჭაბურღილების სიღრმეები განისაზღვრა ტექნიკური დავალების და ს. ნ. და წ. 1.02.07-87-ის (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის) 3.64 და 3.65-ის პუნქტების მიხედვით. ოთხივე გამონამუშევრის მთლიანმა მოცულობამ ხელშეკრულების შესაბამისად შეადგინა 60.0 გრძ. მეტრი.

გავრცელებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად ჭაბურღილებიდან აღებული იქნა გრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის 4 (თიხოვანი

ქანებიდან) ნიმუში. პარალელურად ხდებოდა დაკვირვება გრუნტის წყლის შესაძლო გამოვლენებზე, ბურღვის პროცესზე, კერნის ფიზიკური მდგომარეობის შესწავლაზე.

აღებული თიხოვანი გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევა ჩატარდა შ.პ.ს. ,,საინჟგეო''-ს გრუნტების კვლევის ლაბორატორიაში მისი უფროსის ნ. ხმელიძის მიერ. ტექნიკური ანგარიში კომპიუტერულად დაამუშავა ს. მესხიშვილმა.

ობიექტის ტოპოგრაფიული გეგმა 1:533 (ამობეჭდვის) მასშტაბში დატანილი 4 საპროექტო ჭაბურღილით ,,შემსრულებელს'' გადმოსცა ,,დამკვეთმა''. ჭაბურღილების გეგმურ-სიმაღლითი მიბმა შესრულდა აღნიშნული გეგმის მიხედვით.

საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჭაბურღილები ამოივსო განაბურღი გრუნტით და დაიტკეპნა.

წინამდებარე დასკვნა შედგენილია საველე სამუშაოების, ლაბორატორიული კვლევის შედეგების, საარქივო მასალების და ლიტერატურული წყაროების გადამუშავების შედეგად, საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების (სავალდებულო) შესაბამისად – ს. ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო-გამოკვლევები მშენებლობისათვის), ს.ნ. და წ. პნ 02.01-08 (შენობა-ნაგებობათა ფუძეები) ს.ნ. და წ. პნ 01.01-09 (სეისმომედეგი მშენებლობა) და პნ 01.05-08 (სამშენებლო კლიმატოლოგია); სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტები) და თანახმად გაცემული ტექნიკური დავალებისა, დასკვნის ტექსტს თან ახლავს უბნის ტოპოგრაფიული გეგმა 1:533 (ამობეჭდვის) მასშტაბში ჭაბურღილების და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილების ხაზების განლაგებით, ჭაბურღილების სვეტები და უბნის საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები.

საველე და კამერალური სამუშაოები შესრულდა ინჟინერ-გეოლოგ მ. კვარაცხელიას ხელმძღვანელობით.

საველე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, მიღებული მასალების კამერალური დამუშავება და საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედგენა განხორციელდა 2022 წლის ნოემბერში.

I.2 ადგილმდებარეობა, საზღვრები და მისასვლელი გზები

გამოკვლეული საპროექტო მოედანი მდებარეობს ქ. თბილისის ცენტრალურ ნაწილში – ნაძალადევში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩის №46ა-ში (საკად. კოდი №01.12.12.024.057) და შედის ნაძალადევის ადმინისტრაციულ რაიონში.

ჩრდილო-დასავლეთიდან საპროექტო მოედანს ემიჯნება სერგი ჭილაიას ქუჩის 5 მ სიგანის ასფალტირებული გზატკეცილი, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – გიორგი ჭყონდიდელის

ქუჩის 7 მ სიგანის გზატკეცილი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მეზობელი საკარმიდამო ნაკვეთები 2-სართულიანი საცხოვრებელი სახლებით.

უბანზე მოხვედრა შესაძლებელია წლის ყველა დროს ნებისმიერი სახის ავტოტრანსპორტით გიორგი ჭყონდიდელის და სერგი ჭილაიას ქუჩების მეშვეობით.

ამონარიდი 1:25 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკიდან



● - საპროექტო ობიექტი

I.3 კლიმატური მახასიათებლები

გამოკვლეული უბანი მთლიანად შედის ქვემო ქართლის ბარის მშრალი კონტინენტური სტეპური ჰავის ზონაში, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით (სამშენებლო კლიმატური – IIIგ ქვერაიონი). უბნის კლიმატის ცალკეული ელემენტები დახასიათებულია დიდუბის და თბილისის ზოგიერთი სხვა გამოკვლეულ უბანთან შედარებით ახლოს განლაგებული მეტეოსადგურების მონაცემებით.

უბანზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 12.6°C. ყველაზე ცივი თვე იანვარია, საშუალო ტემპერატურით 0.7°C. ყინვები შესაძლებელია ნოემბრიდან მარტამდე. აბსოლუტური

მინიმუმია -24°C. წლის ყველაზე თბილი თვე აგვისტოა 24.4°C საშუალო ტემპერატურით. დაფიქსირებული მაქსიმალური ტემპერატურაა 40°C.

ჰაერის საშუალო ტემპერატურაა, °C

ცხრილი №1

მეტეოსადგური	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
ობსერვატორია	0.7	2.4	6.3	11.7	17.1	20.9	24.3	24.4	19.6	13.8	7.5	2.7

ნალექების წლიური ჯამია 560 მმ. მათი მაქსიმალური რაოდენობა მოდის მაის-ივნისში, მინიმალური აგვისტოში და დეკემბერ-იანვარში. ნალექიან დღეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ 89, ხოლო ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმია 147 მმ. იშვიათია თოვლიანი ზამთარი. თოვლი შეიძლება მოვიდეს ოქტომბრიდან აპრილის ჩათვლით. დღეთა რიცხვი თოვლის საფარით სულ 14-ს შეადგენს. თბილისის წყალსაცავთან თოვლის საშუალო სიმაღლე მხოლოდ 8 სმ-ია. ხოლო თოვლის საფარის წონა 0.50 კპა-ია.

ნალექების წლიური განაწილება, მმ

ცხრილი №2

მეტეოსადგური	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
დიდუბე	19	27	36	57	90	73	50	36	46	40	46	40

ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობის მაჩვენებელი 66%-ია. ფარდობითი ტენიანობა 13 საათზე ყველაზე ცივი და ყველაზე ცხელი თვეებისათვის არის შესაბამისად 60 და 40%.

ქ. თბილისში (ობსერვატორია) გაბატონებულია ჩრდილო-დასავლეთის (28%), ჩრდილოეთის (26%) და სამხრეთ-აღმოსავლეთის (25%) ქარები, რომლებიც გამოირჩევიან სიძლიერითაც. გაცილებით ნაკლებია სამხრეთის მიმართულების ქარები (8%). დასავლეთის და აღმოსავლეთის ქარები მხოლოდ 4-4%-ია, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებები შესაბამისად 3 და 2%-ს შეადგენს. ქარზე დაკვირვებათა საერთო რიცხვის 33% შტილია. ქარები მაქსიმალურ სიჩქარეებს აღწევენ მარტსა და აპრილში, ხოლო ყველაზე მშვიდი თვეებია ნოემბერი და დეკემბერი. ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე იანვარსა და ივლისში შესაბამისად 4.8/0.5 და 4.6/1.0 მ/წმ-ია.

ქარის ყველაზე დიდი შესაძლო სიჩქარე, მ/წმ.

ცხრილი №3

ყოველწლიურად	5 წელიწადში	10 წელიწადში	15 წელიწადში	20 წელიწადში
24	28	30	32	33

ქ. თბილისში (დიდუბე) ელჭექი შესაძლებელია თებერვლიდან ნოემბრის ჩათვლით, მაქსიმალური ინტენსივობით მაის-ივნისში. სეტყვა შედარებით იშვიათია და შესაძლებელია

მოვიდეს მარტიდან ნოემბრამდე, მაქსიმუმით მაის-ივნისში. ნისლი უმეტესად დამახასიათებელია წლის ცივი პერიოდისათვის, განსაკუთრებით იანვრისათვის. თბილ პერიოდში ნისლი იშვიათია. იანვარ-თებერვალში შესაძლოა ქარბუქი და ქარახვეტი.

ატმოსფეროს განსაკუთრებული მოვლენები წლის განმავლობაში, დღე;

ცხრილი №4

მეტეო სადგური	ელჭექი		სეტყვა		ნისლი		ქარბუქი	
	საშუალო	ყველაზე დიდი	საშუალო	ყველაზე დიდი	საშუალო	ყველაზე დიდი	საშუალო	ყველაზე დიდი
თბილისი დიდუბე	35	52	1.6	7	33	62	0.3	4

გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე (დიდუბე) შეადგენს „0“ მეტრს.

I.4 ზედაპირული წყლები

ბუნებრივია, რომ უშუალოდ გამოკვლეულ ტერიტორიაზე ზედაპირული წყლების მუდმივი წყალსადინარები არ არსებობს. მოზღვავებული ატმოსფერული ნალექების პერიოდში მათ გამოკვეთილი სადინარი არ გააჩნიათ და ფართობულ ხასიათს ატარებენ. მათი განტვირთვის მიმართულება სამხრეთ-დასავლეთურია მდ. მტკვრის მიმართულებით. ამჟამად ადგილის რელიეფისთვის ზედაპირული წყლების ზემოქმედება მინიმალურია და არავითარი საშიშროება არა თუ დატბორვისა, არამედ ფართობული ეროზიისა არ არსებობს.

მიუხედავად ამისა შენობის აშენების შემდგომ, უკვე სახეცვლილ პირობებში, ზედმეტი ზედაპირული ნაჟური წყლების ასარიდებლად შენობის პერიმეტრზე უნდა მოეწყოს წყალსარინი სისტემა, რომელიც შეკრებს და გაიყვანს ტერიტორიიდან ზედმეტ ზედაპირულ წყლებს, რითაც უზრუნველყოფს არათანაბარი ჯდენითი პროცესების პროვოცირებას გრძელვადიანი პერსპექტივით.

I.5 გეომორფოლოგური პირობები და გეოდინამიკური პროცესები

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით გამოკვლეული ტერიტორია მდებარეობს თბილისის ქვაბულის მარცხენა სანაპიროს საფეხურებრივ-ტერასირებული აკუმულაციური რელიეფის ფარგლებში და წარმოადგენს ნაწილს მერიდიანული მიმართულების, საკმაოდ განიერი, ტერასულ-აკუმულაციური გენეზისის მქონე ზედაპირისა.

მორფომეტრიულად თითქმის სწორი დაუნაწევრებელი, სამხრეთ-დასავლეთისკენ (მდ. მტკვრისკენ) დახრილი დამრეცად 1-3° ზოგან 3-5°-ით ზედაპირით. აბსოლუტური სიმაღლეები ობიექტზე მერყეობს უმნიშვნელოდ 440-442 მეტრის, ხოლო შეფარდებითი – მდ. მტკვრის კალაპოტთან მიმართებაში – 35-36 მ-ის ფარგლებში; დღევანდელი რელიეფი შედეგია საკმაოდ რთული პალეოგეოგრაფიული განვითარებისა. კერძოდ პირვანდელ საკმაოდ სწორ სამხრეთისკენ დახრილ ძირითადი ქანებისაგან შემდგარ პალეოზედაპირზე ზედა პლეისტოცენში (Q_{III}^1) მოხდა აკუმულირება მაშინდელი პალეომტკვრის ალუვიური ნალექებისა – კენჭნარი გრუნტებისა - რომელიც ამჟამად იწოდება მდ. მტკვრის III ჭალისზედა (დიდუბე-ავლაბრის) ტერასად, ხოლო როცა შეწყდა ამ ნაწილში მდინარეული ნალექების დალექვა მდ. მტკვრის ეროზიის ბაზისის დადაბლების შედეგად, დაიწყო დელუვიურ-პროლუვიური ხასიათის აკუმულირება-დალექვა ამ ალუვიურ წარმონაქმნებზე და რომლის სიმძლავრე (ფენა №2 - თიხნარი) საკმაოდ მნიშვნელოვანი – ≈17-18 მ-ის ფარგლებშია მოცემულ საპროექტო მოედანზე.

ხოლო, რაც შეეხება კონკრეტულად ჩვენს მიერ გამოკვლეულ ფართს, რელიეფის ზედა ნაწილი (2.0-2.5 მ) ტექნოგენური ხასიათისაა. ჭაბურღილების გაყვანის პერიოდში ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ძველი ფილისმაგვარი საძირკვლების ფრაგმენტები.

საპროექტო მოედნის ფარგლებში თანამედროვე საშიში გეოდინამიკური პროცესების გამოვლენა, მათ მიერ დატოვებული ან საგრძნობლად შეცვლილი რელიეფის ფორმები არ დაფიქსირდა და არც მომავალშია მათი ჩასახვა-განვითარების წინაპირობა. ტერიტორია დღეისათვის გამოირჩევა მდგრადობის საკმაოდ კარგი ხარისხით, განპირობებული როგორც რელიეფური, ასევე მისი შემდგენელი გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით; რომელიც უდავოდ დიდი პოზიტივია სამშენებლო თვალსაზრისით.

I.6 გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები

ტექტონიკური თვალსაზრისით (ი. პ. გამყრელიძე) გამოკვლეული ტერიტორია შედის მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემაში, კერძოდ მასში შემავალი აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის სამხრეთი ქვეზონის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც მთლიანად ნაოჭა სისტემა განიცდის დაძირვას. მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება საქართველოს ბელტის აღმოსავლეთი დაძირვის ზონა, ხოლო სამხრეთიდან ართვინ-ბოლნისის ბელტის ნაწილი.

გეოლოგიური აგებულება. გამოკვლეული უბანი გეოლოგიურად განლაგებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთი დაძირვის ზონაში და ხასიათდება პალეოგენური ფლიშური-დანალექი და ვულკანოგენური ნალექების განვითარებით.

სამშენებლო მოედნის ფარგლებში 15.0 მეტრ სიღრმემდე გაბურღული 4 ჭაბურღილის მონაცემთა თანახმად ასაკობრივად ყველაზე ძველი ზედა პლეისტოცენ-ჰოლოცენური (dpQ_{III-IV}) დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის თიხნარი გრუნტებია (ფენა №2). ისინი გახსნილია 2.0-2.5 მეტრი სიღრმიდან. მათი ხილული სიმძლავრე 12.5-13.0 მ-ის ფარგლებშია, ხოლო რეალური ოდნავ მეტი – ≈17-18 მ. მათ ზემოდან ადევს თანამედროვე (tQ_{IV}) ტექნოგენური გრუნტების ფენა სიმძლავრით 2.0-2.5 მ (იხ. ჭაბურღილების სვეტები). მომიჯნავე ობიექტების ფონდური მონაცემების მიხედვით ამ ნაწილში ძირითადი კლდოვანი ქანები – ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობა – მიწის ზედაპირიდან ≈19.0-20.0 მეტრი სიღრმიდან ფიქსირდება.

გეოლოგიური რუკა

(ამონარიდი დ. პაპავას, ე. დევდარიანის და ვ. აგეევის მიერ 1971 წელს შედგენილი აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთი ნაწილის 1:25000 მასშტაბის გეოლოგიური რუკიდან)



პირობითი აღნიშვნები

Q_{III} – ზედა მეოთხეული ასაკის ალუვიური გენეზისის ნალექები.

Q_{III-IV} – ზედა პლეისტოცენ-ჰოლოცენური ასაკის დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის ნალექები.

ჰიდროგეოლოგიური პირობები. საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით გამოკვლეული ტერიტორია შედის თბილისის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყალწნევიანი სისტემის ფარგლებში, სადაც გავრცელებულია როგორც ღრმა ასევე არაღრმა ცირკულაციის წყლები.

აქ გრუნტის წყლების ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება უპირველესად მდ. მტკვრის ხეობის გეომორფოლოგიით, გეოლოგიური აგებულებით და ფიზიკო-გეოგრაფიული პირობებით. მიწისქვეშა წყლების კვება ძირითადად ხორციელდება ატმოსფერული ნალექების ან ფერდის ზედა ნაწილებიდან მომდინარე სუსტი და სეზონური ნაკადების ინფილტრაციით, ხოლო განტვირთვა მდ. მტკვრის კალაპოტით.

გამოკვლეულ უბანზე გრუნტის წყლები არ გამოვლენილა არცერთ გაყვანილ ოთხ გამონამუშევარში 15.0 მეტრ სიღრმემდეც. ფონდური მონაცემების თანახმად ისინი ამ მონაკვეთზე განლაგებული არიან ~18.0-19.0 მეტრი სიღრმიდან. სამშენებლო მოედნის ფარგლებში ქვაბულის გაყვანის პროცესში შესაძლებელია უმნიშვნელო რაოდენობის სპორადული (წყვეტილი) გრუნტის წყლების გამოვლენა, ისიც ხანგრძლივი ატმოსფერული ნალექების შემდგომ პერიოდებში.

ამრიგად სამშენებლო მოედნის ამგები ქანები ზედა ნაწილში პრაქტიკულად არ შეიცავენ მიწისქვეშა წყლებს და მშენებლობისათვის რაიმე სახის ხელისშემშლელ ფაქტორს არ წარმოადგენენ.

II. სპეციალური ნაწილი

II.1 საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და გამოყოფილი გრუნტების სახესხვაობები

სამშენებლო უბნის დათვალიერების შედეგად საშიში გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-განვითარების, არც მათ მიერ წარსულში ნამოქმედი სახეცვლილი რელიეფის ფორმების კვალი არ დაფიქსირდა. ტერიტორია მდგრადია და დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში იმყოფება. იგი თავისი გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ის დანართი 10-ის თანახმად სამშენებლო ტერიტორია საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით განეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას.

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე შედგენილია ჭაბურღილების სვეტები და უბნის საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, გამოკვლეულ ტერიტორიაზე გამოყოფილია გრუნტების 2 ფენა: ფენა №1 – ტექნოგენური გრუნტი (tQ_{IV}), ფენა №2 – თიხნარი (dpQ_{III-IV}).

II.2 გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

ფენა №1 – ტექნოგენური გრუნტი - ხრეში, თიხნარი, სამშენებლო ნარჩენები, ძველი ფილისმაგვარი საძირკვლის ფრაგმენტები (tQ_{IV}) – გავრცელებულია გამოკვლეული ტერიტორიის მთელ ფართზე ზედაპირიდან I შრედ. მისი სიმძლავრე 2.0-2.5 მ-ის ფარგლებშია. სივრცობრივად (როგორც ჰორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურად) ის საკმაოდ არაერთგვაროვანია. ფენა არ დასინჯულა სასაძირკვლე გრუნტად მისი გამოუყენლობის გამო. ფონდური მასალების მიხედვით სიმკვრივე ρ=1.7 გ/სმ^3-ის ფარგლებშია. ფენის გრუნტების პირობითი საანგარიშო წინაღობა (R_o) აღებულია Ან 02.01-08 დანართი 3-ის ცხრ. 5-ის მიხედვით და შეადგენს R_o-120 კპა (1.2 კგძ/სმ^2).

ფენა №2 – თიხნარი ღია ყავისფერი, მყარი კონსისტენციის, ნაკლებად ტენიანი, ხვინჭის და წვრილი ღორღის 3-5%-მდე ჩანართებით, თეთრი ფერის კარბონატული ლაქებით, ქვიშნარის 0.1-0.2 მ სიმძლავრის იშვიათი შუაშრეებით, უწყლო (dpQ_{III-IV}) - გავრცელებულია ტერიტორიის მთელ ფართზე ზედაპირიდან მე-2 შრედ ფენა №1-ის (ტექნოგენური გრუნტი) ქვემოთ 2.0-2.5 მ სიღრმიდან. ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის 4 ნიმუშით. ფენის ხილული სიმძლავრე 12.5-13.0 მეტრია, რეალური ≈17.0-18.0 (მ).

ქვემოთ №5 ცხრილში მოცემულია ფენის გრუნტების ძირითადი ფიზიკური და მექანიკური მახასიათებლები და მათი საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები:

ცხრილი №5

№№	ფიზიკური მახასიათებლები			განზომილება	მიღებულ სიდიდეთა დიაპაზონი	საშუალო არითმეტიკული (ნორმატიული) მნიშვნელობა
1	პლასტიკურობის რიცხვი		Ip	-	8-12	10
2	ბუნებრივი ტენიანობა		W	%	0.101-0.149	0.124
3	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ^3	1.94-2.08	2.00
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1.70-1.84	1.78
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2.71	2.71
4	ფორიანობა		n	%	0.32-0.37	0.34
5	ფორიანობის კოეფიციენტი		e	-	0.473-0.594	0.521
6	დენადობის მაჩვენებელი		I_L	-	<0	<0
7	ტენიანობის ხარისხი		S_r	-	0.52-0.81	0.64
	მექანიკური მახასიათებლები					
1	შიგა ხახუნის კუთხე		φ	გრად.	24	24
2	კუთრი შეჭიდულობა		C	კპა (კგძ/სმ^2)	31(0.31)	31(0.31)
3	დეფორმაციის მოდული		E	მპა (კგძ/სმ^2)	6(60)-10.4(104)	8.2(82)

როგორც ცხრილიდან ჩანს პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით გამოკვლეული გრუნტი მიეკუთვნება თიხნარს, რადგან Ip=0.08-0.12 და თავსდება 0.07-0.17 ინტერვალში.

ბუნებრივი ტენიანობის მიხედვით გრუნტი ნაკლებად ტენიანია <20%.

გრუნტის სიმკვრივის (ρ) და ჩონჩხის სიმკვრივის (ρ_d) მიხედვით გრუნტი შემკვრივებულ გრუნტს მიეკუთვნება, რადგან ρ=1.94-2.08 და ρ_d=1.70-1.84 შესაბამისად 1.70-2.20 და 1.35-1.90-ის ფარგლებშია.

ფორიანობის და ფორიანობის კოეფიციენტის მიხედვით გრუნტი საშუალო სიმკვრივისაა, რადგან n=0.32-0.37 და თავსდება 30-45%-ის ფარგლებში, ხოლო e=0.473-0.594 და თავსდება 0.40-0.80-ის ფარგლებში.

დენადობის მაჩვენებლის (I_L) მიხედვით გრუნტი მყარი (I_L<0) კონსისტენციისაა.

ტენიანობის ხარისხის (Sr) მიხედვით გრუნტი უმეტესად ტენიანს (0.5<Sr≤0.8), ნაკლებად წყალნაჯერს (0.8<Sr≤1.0) მიეკუთვნება.

გრუნტს არ ახასიათებს ჯირჯვადობა, რადგან მაჩვენებელი Iss=0.17-0.27-ის ფარგლებშია და ნაკლებია 0.30-ზე. შესაბამისად თავისუფალი გაჯირჯვება ε_{sw} „0“-ის ტოლია.

გრუნტი არ ხასიათდება ჯდომადი თვისებებით, რადგან ფარდობითი ჯდომადობა ლაბორატორიული ანალიზის მიხედვით $Es\ell$=0.005-0.007 და შესაბამისობაშია გოსტ 25100-82-ის მოთხოვნასთან – სადაც გრუნტი ჯდომადია როდესაც $Es\ell \geq 0.01$.

ჩატარდა 2 კომპრესიული გამოცდა ბუნებრივი ტენიანობის ნიმუშებზე P=0.5 კგძ/სმ^2 დატვირთვებით P=3.0 კგძ/სმ^2-მდე, წყალი მიეწოდა 2.0 კგძ/სმ^2 დატვირთვაზე (შეესაბამება გრუნტის სრული წყალგაჯერების მდგომარეობას).

ქვემოთ №6 ცხრილში მოცემულია ჯდენის მოდულის (ℓp) სიდიდეები P=3.0 კგძ/სმ^2 დატვირთვისას, კუმშვადობის კოეფიციენტის (a) და დეფორმაციის მოდულის (E) მნიშვნელობები P=2.0 კგძ/სმ^2 დატვირთვისას და ფარდობითი ჯდომადობების სიდიდეები P=2.0 კგძ/სმ^2 დატვირთვისას მისი წყალგაჯერების შედეგად მიღებული.

ცხრილი №6

ჭაბურღ. №	ნიმუშის აღების სიღრმე მ-ში	ჯდენის მოდული ℓp მმ/მ P=3.0 კგძ/სმ^2	კუმშვადობის კოეფიციენტი a სმ^2/კგ P=2.0 კგძ/სმ^2	დეფორმაციის მოდული E მპა(კგძ/სმ^2) P=2.0 კგძ/სმ^2 დატვირთვისას	ფარდობითი ჯდომადობა $\varepsilon s\ell$(%) P=2.0 კგძ/სმ^2-ს დატვირთვისას
1	4.5	27	0.007	4.5(45)	0.007
2	6.1	39	0.013	5.6(56)	0.005
საშუალო (ნორმატიული)		33	0.01	5.0(50)	0.006

როგორც ცხრილიდან ჩანს, ჯდენის მოდულის მიხედვით, გრუნტი მიეკუთვნება მომატებულად კუმშვად გრუნტს, რადგან ჯდენის მოდულის საშუალო მნიშვნელობა P=3.0 კგძ/სმ^2 დატვირთვაზე ℓp=33 მმ/მ შეესაბამება $20<\ell p_{მმ/მ}<60$ გრადაციას.

მომეტებულად კუმშვადს მიეკუთვნება გრუნტი ასევე კუმშვადობის კოეფიციენტის მიხედვითაც, რადგან P=2.0 კგძ/სმ^2-მდე დატვირთვის დროს მისი საშუალო მნიშვნელობა a=0.01 და იმყოფება 0.1-0.01 გრადაციის ფარგლებში.

ფენის სიმტკიცის და დეფორმაციის მახასიათებლების ნორმატიული მნიშვნელობები, საანგარიშო წინაღობა აღებულია ლაბორატორიული მონაცემების და პნ 02.01-08 დანართი 2-ის და 3-ის შესაბამისი ცხრილების მიხედვით, რომლებიც შესაბამისად შეადგენენ: შიგა ხახუნის კუთხე φ° - 24 (გრად.), კუთრი შეჭიდულობა C – 31 კპა (0.31 კგძ/სმ^2), დეფორმაციის მოდული E – 8.2 მპა (82 კგძ/სმ^2), საანგარიშო წინაღობა R_o – 250 კპა (2.5 კგძ/სმ^2).

III. დასკვნები და რეკომენდაციები

1. სამშენებლო მოედნის ფარგლებში 15.0 მეტრ სიღრმემდე გაბურღული 4 ჭაბურღილის მონაცემთა თანახმად ასაკობრივად ყველაზე ძველი ზედა პლეისტოცენ-ჰოლოცენური (dpQ_{III-IV}) დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის თიხნარი გრუნტებია (ფენა №2). ისინი გახსნილია 2.0-2.5 მეტრი სიღრმიდან. მათი ხილული სიმძლავრე 12.5-13.0 მ-ის ფარგლებშია, ხოლო რეალური ოდნავ მეტი – ≈17-18 მ. მათ ზემოდან ადევს თანამედროვე (tQ_{IV}) ტექნოგენური გრუნტების ფენა სიმძლავრით 2.0-2.5 მ (იხ. ჭაბურღილების სვეტები). მომიჯნავე

ობიექტების ფონდური მონაცემების მიხედვით ამ ნაწილში ძირითადი კლდოვანი ქანები – ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობა – მიწის ზედაპირიდან ≈19.0-20.0 მეტრი სიღრმიდან ფიქსირდება.

2. გამოკვლეულ ტერიტორიაზე გამოყოფილია 2 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (ს.გ.ე.):
   - I ს.გ.ე. (ფენა №1) – ტექნოგენური გრუნტი;
   - II ს.გ.ე. (ფენა №2) – თიხნარი;

   ქვემოთ ცხრილ №7-ში მოცემულია გრუნტების საანგარიშო ფიზიკურ-მექანიკური მნიშვნელობები, მიღებული ლაბორატორიული გამოკვლევებით და ს.ნ. და წ. პნ 02.01-08 დანართი 2-ის და 3-ის შესაბამისი ცხრილების მიხედვით.

ცხრილი №7

№№	გრუნტის მახასიათებლები	საანგარიშო მნიშვნელობები	
		I ს.გ.ე. (ფენა №1)	II ს.გ.ე. (ფენა №2)
1	სიმკვრივე ρ გ/სმ^3	1.80	2.00
2	შიგა ხახუნის კუთხე φ°		21
3	კუთრი შეჭიდულობა C კპა (კგძ/სმ^2)		20
4	დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ^2)		8.2(82)
5	საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ^2)	120(1.2)	250(2.5)
6	საგების კოეფიციენტი K (კგძ/სმ^3)		4
7	პუასონის კოეფიციენტი μ		0.35

შენიშვნა: სიმტკიცის მახასიათებლების (C; φ°) საანგარიშო მნიშვნელობები ფენა №2-ის (ს.გ.ე. II) გრუნტებისათვის მიღებულია ს.ნ. და წ. პნ 02.01-08 მუხლი 7-ის №7 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

3. ტექნიკური დავალების თანახმად საძირკვლის სავარაუდო ტიპად მიჩნეული იყო რკინაბეტონის ფილა. არსებული სასაძირკვლე ფუძე-გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების სიდიდეები სრულიად მისაღებია ამ ტიპის საძირკვლისთვის. საბოლოო არჩევანი, როგორც წესი, კონსტრუქტორის პრეროგატივაა.
4. ამავდროულად მომავალი სამშენებლო მოედნის ლითოლოგიური ჭრილის, მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების და საპროექტო შენობის გეომეტრიული ფორმის გათვალისწინებით მიზანშეწონილი და აუცილებელია ამოღებული საძირკვლის ქვაბული მოსწორდეს და დაიტკეპნოს, შემდგომ კი მოშანდაკდეს 0.50-0.60 მ სიმძლავრის ალუვიური გენეზისის შედარებით ერთგვაროვანი ინერტული ბალასტით – მათი ფენობრივი დატკეპნით შესაბამისი ვიბროსატკეპნის მეშვეობით – და ზედ დაესხას 0.10 მ სიმძლავრის მჭლე ბეტონის ფენა (ე.წ. ბეტონის „მომზადება“). ამ ყველაფრის შემდგომ კი დაიწყოს პლიტისთვის ნაქსოვი არმატურის მორგების პროცესი. ამ ფენას მზიდუნარიანობის დაბალანსების გარდა გააჩნია ასევე – ე.წ. სეისმური ბალიშის ფუნქციაც, რომელიც აუცილებელი ატრიბუტია 8 ბალიანი

ზონის პირობებში (გრუნტული მომზადების პარამეტრების საბოლოო არჩევანი მხოლოდ და მხოლოდ კონსტრუქტორის პრეროგატივაა).

5. გამოკვლეულ უბანზე გრუნტის წყლები არ გამოვლენილა არცერთ გაყვანილ ოთხ გამონამუშევარში 15.0 მეტრ სიღრმემდეც. ფონდური მონაცემების თანახმად ისინი ამ მონაკვეთზე განლაგებული არიან ~18.0-19.0 მეტრი სიღრმიდან. სამშენებლო მოედნის ფარგლებში ქვაბულის გაყვანის პროცესში შესაძლებელია უმნიშვნელო რაოდენობის სპორადული (წყვეტილი) გრუნტის წყლების გამოვლენა, ისიც ხანგრძლივი ატმოსფერული ნალექების შემდგომ პერიოდებში.

   ამრიგად სამშენებლო მოედნის ამგები ქანები ზედა ნაწილში პრაქტიკულად არ შეიცავენ მიწისქვეშა წყლებს და მშენებლობისათვის რაიმე სახის ხელისშემშლელ ფაქტორს არ წარმოადგენენ.

6. ბუნებრივია, რომ უშუალოდ გამოკვლეულ ტერიტორიაზე ზედაპირული წყლების მუდმივი წყალსადინარები არ არსებობს. მოზღვავებული ატმოსფერული ნალექების პერიოდში მათ გამოკვეთილი სადინარი არ გააჩნიათ და ფართობულ ხასიათს ატარებენ. მათი განტვირთვის მიმართულება სამხრეთ-დასავლეთურია მდ. მტკვრის მიმართულებით. ამჟამად ადგილის რელიეფისთვის ზედაპირული წყლების ზემოქმედება მინიმალურია და არავითარი საშიშროება არა თუ დატბორვისა, არამედ ფართობული ეროზიისა არ არსებობს.

   მიუხედავად ამისა შენობის აშენების შემდგომ, უკვე სახეცვლილ პირობებში, ზედმეტი ზედაპირული ნაჟური წყლების ასარიდებლად შენობის პერიმეტრზე უნდა მოეწყოს წყალსარინი სისტემა, რომელიც შეკრებს და გაიყვანს ტერიტორიიდან ზედმეტ ზედაპირულ წყლებს, რითაც უზრუნველყოფს არათანაბარი ჯდენითი პროცესების პროვოცირებას გრძელვადიანი პერსპექტივით.

7. საპროექტო მოედნის ფარგლებში თანამედროვე საშიში გეოდინამიკური პროცესების გამოვლენა, მათ მიერ დატოვებული ან საგრძნობლად შეცვლილი რელიეფის ფორმები არ დაფიქსირდა და არც მომავალშია მათი ჩასახვა-განვითარების წინაპირობა. ტერიტორია დღეისათვის გამოირჩევა მდგრადობის საკმაოდ კარგი ხარისხით, განპირობებული როგორც რელიეფური, ასევე მისი შემდგენელი გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით; რომელიც უდავოდ დიდი პოზიტივია სამშენებლო თვალსაზრისით.

8. ქვაბულის ფერდოს მაქსიმალური დასაშვები დახრა მიღებულ იქნას ს.ნ. და წ. 3.02.01-87 პპ 3.11, 3.12, 3.15 და ს.ნ. და წ. III-4-80 მე-9 თავის მოთხოვნათა მიხედვით.

9. ს.ნ. და წ. - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01.-09)-ის მიხედვით უბანი მიეკუთვება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტით – 0.17;

იმავე ნორმატიული დოკუმენტის ცხრილი №1-ის თანახმად, სეისმური თვისებების მიხედვით სამშენებლო ფართზე გავრცელებული გრუნტები უმეტესად მიეკუთვნებიან მე-II კატეგორიის გრუნტებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე სამშენებლო მოედნის საანგარიშო სეისმურობა მთლიანობაში განისაზღვროს 8 ბალით.

10. უბნის ამგები გრუნტები დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-2-82-ის ცხრ. №1-ის თანახმად მიეკუთვნებიან:

ფენა №1 – ტექნოგენური გრუნტი – ყველა სახის დამუშავებისას – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800 კგ/მ^3 (რიგ. №24ა);

ფენა №2 - თიხნარი – ყველა სახის დამუშავებისას – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1750 კგ/მ^3 (რიგ. №33ვ).

ინდ. მეწარმე
ინჟინერ-გეოლოგი: /მ. კვარაცხელია/

IV. ფოტოდოკუმენტაცია ტექსტური დანართებით



სურათი №1. საპროექტო ობიექტის ხედი სამხრეთ-დასავლეთით. №1 ჭაბურღილის ბურღვის პროცესი.



სურათი №2. №3 ჭაბურღილის ბურღვის პროცესი.



სურათი №3. №3 ჭაბურღილიდან ამოღებული კერნის ფრაგმენტი.



სურათი №4. საპროექტო ობიექტის სასაძირკვლე ფუძე-გრუნტი თიხნარი (ფენა №2) – ღია ყავისფერი, მყარი კონსისტენციის, ნატეხოვანი მასალის 3-5%-მდე ჩანართებით (dpQ_{III-IV}).

ტექსტური დანართები

გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ლაბორატორიული კვლევის შედეგები

გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ლაბორატორიული კვლევის შედეგები
დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუშების - მონოლითების - თიხოვანი ქანების

ობიექტის სახელწოდება	რიგითი ნომერი	ჭაბურღილის ნომერი	ნიმუშის საველე ნომერი	ნიმუშია აღების სიღრმე, მ	ნიმუშის სახე	ნიმუშის ლაბორატორიული ნომერი	ნიმუშის დასახელება ნომენკლატურის მიხედვით	ფ ი ზ ი კ უ რ ი თ ვ ი ს ე ბ ე ბ ი: პლასტიკურობა: დენადობის ზღვარი, W_L	პლასტიკურობა: პლასტიკურობის ზღვარი, W_P	პლასტიკურობა: პლასტიკურობის რიცხვი, I_P, %	სიმკვრივე, გ/სმ^3: მინერალური ნაწილაკების სიმკვრივე, ρ_s	სიმკვრივე, გ/სმ^3: ბუნებრივი მდგომარეობის გრუნტის, ρ	სიმკვრივე, გ/სმ^3: ჩონჩხის სიმკვრივე, ρ_d	ტენიანობა, W	ფორიანობა, n	ფორიანობის კოეფიციენტი, e	სრული ტენტევადობა, Wsaf	ტენიანობის ხარისხი, Sr	დენადობის მაჩვენებელი, I_L	მექანიკური თვისებები: კუმშვადობა: ბუნებრივ მდგომარეობაში: კუმშვადობის კოეფიციენტი 1-2a_{10}-5Па-1	მექანიკური თვისებები: კუმშვადობა: ბუნებრივ მდგომარეობაში: დეფორმაციის მოდული 1-2E 10^5 Па	მაჩვენებელი, I_{SS}	ფარდობითი ჯდომადობა, ε_{sl}, %	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	25	26	27
ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №46ა-ში (საკად. კოდი №01.12.12.024.057)5-სართულიანი სარდაფით საოფისე შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები	1	ჭაბ.№1	1	4,5	მონ.	469	თიხნარი	0,32	0,21	11	2,71	2,04	1,84	0,107	0,32	0,473	0,17	0,61	<0	0,007	104	0,27	0,007	
	2	ჭაბ.№2	1	6,1	მონ.	470	თიხნარი	0,33	0,21	12	2,71	1,94	1,70	0,139	0,37	0,594	0,22	0,63	<0	0,013	60	0,19	0,005	
	3	ჭაბ.№3	1	7,2	მონ.	471	თიხნარი	0,29	0,21	8	2,71	1,96	1,78	0,101	0,34	0,522	0,19	0,52	<0	-	-	0,17	-	
	4	ჭაბ.№4	1	10,1	მონ.	472	თიხნარი	0,28	0,20	8	2,71	2,08	1,81	0,149	0,33	0,497	0,18	0,81	<0	-	-	0,17	-	

ლაბორატორიის უფროსი: /ნ. ხმელიძე/

გრუნტის კომპრესიაზე გამოცდის გრაფიკები

გრუნტის კომპრესიაზე გამოცდის შედეგები

ჭაბურღილი №1

ნიმუში №1

ნიმუშის აღების ინტერვალი 4.5 მ

ნიმუშის სახე: მონოლითი

გრუნტის დასახელება: თიხნარი

ობიექტი:

ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №46ა-ში (საკად. კოდი №01.12.12.024.057) 5-სართულიანი სარდაფით საოფისე შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

გ რ უ ნ ტ ი ს გ ა მ ო ც დ ი ს გ რ ა ფ ი კ ი



გამოცდის რეჟიმი: ბუნებრივ მდგომარეობაში

გამოცდის შედეგები						
წნევა გრუნტის ნიმუშზე, P 10^5 Па	აბსოლუტური კუმშვადობა, Δh, მმ	შეფარდებითი კუმშვა, Δ h/h		ფორიანობის კოეფიციენტი e	კუმშვადობის კოეფიციენტი a 10^{-5} Па$^{-1}$	საერთო დეფორმაციის მოდული, E_0 10^5 Па
		ცდით, ε	გრაფი-კით, ε'			
0.0	-	-	-	0.473	-	-
0.5	0.15	0.006	0.006	0.464	0.018	41
1.0	0.25	0.010	0.010	0.458	0.012	61
1.5	0.33	0.013	0.013	0.454	-	-
2.0	0.38	0.015	0.015	0.451	0.007	104
დასვ.	0.55	0.022	0.022	0.441	0.010	-
2.5	0.65	0.026	0.026	0.435	-	-
3.0	0.68	0.027	0.027	0.433	0.008	90

ლაბორატორიული ნომერი №469

გრუნტის მახასიათებლები					
პლასტიკურობა	დენადობის ზღვარი, W_L	1	0.32	-
	პლასტიკურობის ზღვარი, W_P	2	0.21	-
	პლასტიკურობის რიცხვი, I_P %	3	11	-
სიმკვრივე გ/სმ^3	მინერალური ნაწილაკის ρ_S	4	2.71	-
	გრუნტის ბუნებრივი მდგომარეობის ρ	5	2.04	-
	ჩონჩხის, ρ_d	6	1.84	-
ტენიანობა, W		7	0.107	-
ფორიანობა, n		8	0.32	-
ფორიანობის კოეფიციენტი, e		9	0.473	-
სრული ტენტევადობა, W_{saf}		10	0.17	-
ტენიანობის ხარისხი, S_r		11	0.61	-
დენადობის მაჩვენებელი, I_L		12	<0	-
ფილტრაციის კოეფიციენტი, $K_{ფ}$ მ/დღ-ღ-ში		13	-	-
გაჯირჯვება	თავისუფალი გაჯირჯვება, ε_{sw} %	14	-	-
	გაჯირჯვების წნევა, $P_{sw}10^5$ Па	15	-	-
	გაჯირჯვების ტენიანობა, W_{sw}	16	-	-
ჯდომადობა	ფარდობითი ჯდომადობა ε_{sl}	17	0.007	-
	ჯდომადობის საწყისი წნევა, $P_{sl}10^5$ Па	18	-	-
	ჯდენის ტენიანობა, W_{SL}	19	-	-

ლაბორატორიის უფროსი: ნ. ხმელიძე

გრუნტის კომპრესიაზე გამოცდის შედეგები

ჭაბურღილი №2

ნიმუში №1

ნიმუშის აღების ინტერვალი 6.1 მ

ნიმუშის სახე: მონოლითი

გრუნტის დასახელება: თიხნარი

ობიექტი:

ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №46ა-ში (საკად. კოდი №01.12.12.024.057) 5-სართულიანი სარდაფით საოფისე შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

გ რ უ ნ ტ ი ს გ ა მ ო ც დ ი ს გ რ ა ფ ი კ ი



გამოცდის რეჟიმი: ბუნებრივ მდგომარეობაში

გამოცდის შედეგები						
წნევა გრუნტის ნიმუშზე, P 10^5 Па	აბსოლუტური კუმშვადობა, Δh, მმ	შეფარდებითი კუმშვა, Δ h/h		ფორიანობის კოეფიციენტი e	კუმშვადობის კოეფიციენტი a 10^{-5} Па$^{-1}$	საერთო დეფორმაციის მოდული, E_0 10^5 Па
		ცდით, ε	გრაფი-კით, ε'			
0.0	-	-	-	0.594	-	-
0.5	0.25	0.010	0.010	0.578	0.032	25
1.0	0.43	0.017	0.017	0.567	0.022	36
1.5	0.58	0.023	0.022	0.557	-	-
2.0	0.63	0.025	0.025	0.554	0.013	60
დასვ.	0.75	0.030	0.030	0.546	0.008	-
2.5	0.88	0.035	0.035	0.5538	-	-
3.0	0.98	0.039	0.039	0.532	0.014	55

ლაბორატორიული ნომერი №470

გრუნტის მახასიათებლები					
პლასტიკურობა	დენადობის ზღვარი, W_L	1	0.33	-
	პლასტიკურობის ზღვარი, W_P	2	0.21	-
	პლასტიკურობის რიცხვი, I_P %	3	12	-
სიმკვრივე გ/სმ^3	მინერალური ნაწილაკის ρ_S	4	2.71	-
	გრუნტის ბუნებრივი მდგომარეობის ρ	5	1.94	-
	ჩონჩხის, ρ_d	6	1.70	-
ტენიანობა, W		7	0.139	-
ფორიანობა, n		8	0.37	-
ფორიანობის კოეფიციენტი, e		9	0.594	-
სრული ტენტევადობა, W_{saf}		10	0.22	-
ტენიანობის ხარისხი, S_r		11	0.63	-
დენადობის მაჩვენებელი, I_L		12	<0	-
ფილტრაციის კოეფიციენტი, $K_{ფ}$ მ/დღ-ღ-ში		13	-	-
გაჯირჯვება	თავისუფალი გაჯირჯვება, ε_{sw}%	14	-	-
	გაჯირჯვების წნევა, $P_{sw}10^5$Па	15	-	-
	გაჯირჯვების ტენიანობა, W_{sw}	16	-	-
ჯდომადობა	ფარდობითი ჯდომადობა ε_{sl}%	17	0.005	-
	ჯდომადობის საწყისი წნევა, $P_{sl}10^5$Па	18	-	-
	ჯდენის ტენიანობა, W_{SL}	19	-	-

ლაბორატორიის უფროსი: ნ. ხმელიძე

გრაფიკული დანართები

უბნის ტოპოგრაფიული გეგმა ჭაბურღილების და ჭრილების ხაზების განლაგებით 1:533 (ამობეჭდვის) მასშტაბში

მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული ასომგვითი ნახაზი



ქ. თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №46ა
(საკად. კოდი №01.12.12.024.057)

ტოპოგრაფიული გეგმა ჭაბურღილების და ჭრილების ხაზების განლაგებით

მასშტაბი: 1:533 (ამოგებჭდვის)
1 სმ=5.33 (მ)

ჭაბ.№1 15.0 440.80 -
ჭაბ.№2 15.0 441.38 -
ჭაბ.№3 15.0 441.07 -
ჭაბ.№4 15.0 441.23 -

I I^I II II^I III III^I IV IV^I

482550
4621100

პირობითი აღნიშვნები

ჭაბ.№1 15.0 440.80 -

მარცხნივ: მრიცხველში - ჭაბურღილის ნომერი
მნიშვნელში - ჭაბურღილის სიღრმე მ

მარჯვნივ: მრიცხველში - აბსოლუტური ნიშნული მ
მნიშვნელში - გრუნტის წყლის დამყარების დონე მ

I I^I საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილის ხაზი

პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

საბ. შენობა	ხის ღობე	წ	წყალგაყვანილობა
არასაბ. შენობა	ქვის ღობე	ბ	ბაზი
ნაგებობა	მეტ. ქსელი	კ	კანალიზაცია
შენობა-ნაგებობის ნომერი	ხიდაკი	სან	სანაპირო
საბინაო-სამრეწველო ობიექტი	ჩიტბადა	ქმ	ქარხნამიწოდება
ბაზის საზღვარი	საელექტრონო ქსელი	ელ. ქსელი	ელ. ქსელი
	ელ. გადამცემი ხაზი	ტელ	ტელეფონი

შენიშვნა:1) მიწაზე დატანილია საჭარო რესტრში რეგისტრირებული ნაკვეთის საზღვარი
2) მიწის სამუშაოების შესრულება შესათანხმებელ კომუნიკაციის წარმომადგენლებთან

შ.პ.ს. "ინტეგრა" LTD „INTEGRA"
ქ.თბილისი, ი.ხუციშვილის ქუჩა №40/38
Email : vertexarchigroup@gmail.com
Mob: +995 599 76 01 76

დირექტორი:		გ.ბარამიძე
აზომა:		გ.ბარამიძე
დახაზა:		გ.ბარამიძე
მისამართი:	ქ.თბილისი, სირაის ბირველის №2, ს/კ 01.12.12.024.057 არასებული 590 კვ.მ. არასასოფლოსამეურნეო	
მასშტაბი: 1:500		05/03/2022 წ.

ჭაბურღილების სვეტები

ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №46ა-ში (საკად. კოდი №01.12.12.024.057) 5-სართულიანი სარდაფით საოფისე შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

ჭაბურღილი №1

დაწყება: 11.11.2022 წ.

დამთავრება: 11.11.2022 წ.

ბურღვის მეთოდი: სვეტური კერნის სრული აღებით.

აბსოლუტური ნიშნული 440.80 მ

▽ წყლის გამოვლენა --- მ

▼ წყლის დამყარება --- მ

წყლის სინჯი

მონოლითი

დაშლილი სტრუქტურა

ფენის №	გეოლოგიური ინდექსი	ფენის სვეტის სიღრმე მ	აბსოლუტური ნიშნული მ	ფენის სიმძლავრე მ	ლითოლოგიური ჭრილი	სიღრმის სკალა, მ	გრუნტის აღწერა	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ
1	tQ_{IV}	2.0	438.80	2.0		1 2	ტექნოგენური გრუნტი - ხრეში, თიხნარი, სამშენებლო ნარჩენები, ძველი ფილისმაგვარი საძირკვლის ფრაგმენტები	
2	dpQ_{III-IV}	15.0	425.80	13.0		3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15	თიხნარი ღია ყავისფერი, მყარი კონსისტენციის, ნაკლებად ტენიანი, ხვინჭის და წვრილი ღორღის 3-5%-მდე ჩანართებით, თეთრი ფერის კარბონატული ლაქებით, ქვიშარის 0.1-0.2 მ სიმძლავრის იშვიათი შუაშრეებით, უწყლო	4.5

